



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს

საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. აპრილის 25.

№ 3

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

25. წარმომადგენლობის ნორმების შესახებ სამტრედიის კლავის საბჭოს არჩევნებისათვის.

26. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატად გადაკეთების შესახებ.

27. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ.

28. 1931 წლის გახადებულზე მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ საბრძოლველად საგანგებო კომისიების მოწყობის შესახებ.

სამხედრო საქმე

29. 1930 წლის აპრილის 16-ის დადგენილების გაუქმების შესახებ, რომელი დადგენილებაც შეეხება ფოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანებისა და მათი ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების უფლებების თაობაზე მოწოდებების მიცემის წესს.

სამოქალაქო სამართალი

30. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 171 მუხლის „თ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

31. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 171 მუხლის დანართად გამოცემული „სახლის დროებითი მდგმურებისა და სახლიდან დროებით წასულებებისათვის საცხოვრებელ ფართობზე უფლების შენარჩუნების პირობების დებულების მე-5 მუხლის დამატების შესახებ.

32. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 267¹ მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

33. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა და აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა ქონების სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის და კოოპერატიულ ორგანიზაციათვის სასყიდლოდ და უსასყიდლოდ გადაცემის წესის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი, სოფლის მეურნეობა

34. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სარწყავი სისტემების დაყვის თაობაზე 1925 წლის დეკემბრის 8-ის თარიღით და კოლხიდის ტაობების ამოწრობის სამუშაოთა რაიონში ყრილების (ბეტურების) და სალობერო ნაგებობის დაყვის თაობაზე 1929 წლის ივლისის 2-ის თარიღით გამოცემულ დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

35. მებაზმებობის განვითარების ღონისძიებითა თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლების შეცვლის შესახებ.

მრეწველობა

36. სარეწაო კოოპერაციის დებულების მე-3 და მე-5 მუხლების დამატებისა და იმავე დებულების 96 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

ვაჭრობა, მომარაგება

37. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე საქონლის დაცვლისა და საქონლის და ზოგის გაყიდვის წესის შესახებ.



ტრანსპორტი

38. გზატკეცილებისა, ყაშირგზებისა და საგზაო ნაგებობების გაფუძვებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

39. დიროიბლმშენებლობის ხუთდღიურის ჩატარების შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

40. დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლების შესახებ.

41. შინამრეწველობასა და ხელისნობაში მომუშავე მოზარდთა საბინაო - საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების შესახებ.

42. სამრეწველო მუშებისათვის საბინაო სფეროში ზოგადი შეღავათის მინიჭების შესახებ.

43. „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების 23 მუხლის 1-ლი შინაშენის შეცვლის შესახებ.

ფინანსები

44. სოფლების რაიონებში სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის დაწესებული ერთდროული გამოსაღების საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარების შესახებ.

შრომა

45. იმ დადგენილების გაუქმების შესახებ, რაც გამოცემულია ისეთ საკლებო მეურნეობათა უკიდურესი ოდენობის განსაზღვრისათვის, რომლებზედაც არა ვრცელდება დროებითი წესები საგლეხო მეურნეობაში დაქორავებული დამხმარე შრომის გამყენების თაობაზე.

46. 1931 წლისათვის სამუშაო ზედღის სახელმწიფოებრივი დანორმების საფუძვლების შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება

47. „უმალესი სასწავლებელთა დებულებისა“ და დინტერესებულ სახალხო კომისარიატებზე, ტრესტებზე, სამეურნეო ორგანიზაციებზე, კოოპერატიულ და კოლექტიურ მეურნეობებზე უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო პროფესიონალურ-ტექნიკურ სასწავლებლების მიმაგრების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

48. საბჭოთა მშენებლობის ათის წლის მიღწევითა გამოყენის მოწოდების შესახებ.

49. პერსონალური პენსიების დებულების გაუქმებისა და პერსონალური პენსიების დანიშნის წესის დამყარების შესახებ.

სისხლის სამართალი

50. სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის 1-ლი ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ.

51. საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში მოთავსებულთა და ამ დაწესებულებებიდან განათავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცებისა და სამომავლოდ შემოღების შესახებ.

დედულება საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში მოთავსებულთა და ამ დაწესებულებებიდან განათავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტის შესახებ.

სასამართლოს წყობილება და სამართლის წარმოება

52. სახელმწიფო ნოტარიაციის დებულების 46,47 და 48 მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ.

53. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

ეროვნული
რევოლუციური

25. დადგენილება ც.ა.კ.

წარმომადგენლობის ნორმების შესახებ სამტრედიის ქალაქის საბჭოს არჩევნებისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1930 წ. ნოემბრის 9-ის თარიღით დამტკიცებული „მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობის მოწვევის“ ინსტრუქციის დასამატებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დეპუტატებს სამტრედიის ქალაქის საბჭოსთვის ამომრჩევლები აირჩევენ შემდეგი ანგარიშით: ა) მუშები—ერთ დეპუტატს 50 ამომრჩეველზე, ბ) გლეხები ერთ დეპუტატს 200 მცხოვრებზე და გ) მოსამსახურეები ერთ დეპუტატს—200 ამომრჩეველზე.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარის მოვ. აღმსრ. ლ. სუხიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. იანვრის 7.

ტფილისი-სასახლე.

26. დადგენილება ც.ა.კ. და ს.ა.ს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატად გადაკეთების შესახებ.

სსრკ-ის შინა-ვაჭრობის და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორ დამოუკიდებელ სახალხო კომისარიატად გაყოფის შესახებ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატის საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 22-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 56 №-ი, მუხ. 592) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი გადაარქმეულ იქნეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატად.
2. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს მისცეს, 10 დღის ვადაზე, სახელმძღვანელო დირექტივები მომარაგების სახალხო კომისარიატის მისი ორგანიზაციისა და გამგებლობის ფარგლების თაობაზე.
3. წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და წარადგინოს საკანონმდებლო ორგანოებში დასამტკიცებლად მომარაგების სახალხო კომისარიატის დებულების პროექტი.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. იანვრის 18.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტის“ 28 №-ში 1931 წ. თებერვლის 3.



27. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევა ისეთი შემადგენლობით, რომ წევრთა რიცხვი არ აღემატებოდეს 35 კაცს, ხოლო კანდიდატთა რიცხვი არ აღემატებოდეს 9 კაცს.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევს თავის წრიდან პრეზიდიუმს ისეთი შემადგენლობით, რომ წევრთა რიცხვი არ აღემატებოდეს 11 კაცს, ხოლო კანდიდატთა რიცხვი არ აღემატებოდეს 5 კაცს.

2. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1929 წლის აგვისტოს 23-ს „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის აღმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფის დამტკიცებისა და ახალი აღმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულების მოწყობის შესახებ“ გამოცემული დადგენილების 4 მუხლის „ბ“ ლიტერის „ბ“ და „გ“ პუნქტები (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-17 ნომერი, მუხ. 190).

3. ეს დადგენილება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. აშსრ. ლ. სუხიშვილი

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. იანვრის 29.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტის“ 25 №-ში 1931 წ. იანვრის 30.

28. დადგენილება ს.კ.ს.

1931 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ საბრძოლველად საგანგებო კომისიების მოწყობის შესახებ.

„ა/კსფსრ-ში 1931 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ საბრძოლველად საგანგებო ორგანოების დაარსების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 17-ის დადგენილების შესაბამისად და „წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 10-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 340) მე-2 და 3 მუხლებით გათვალისწინებული წესის დროებით შესაცვლელად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1930 წ.

დეკემბრის 10-ის დადგენილების მე-2 მუხ. ვათვალისწინებელი წყალდიდობის საწინააღმდეგო ბრძოლის კომიტეტის ნაცვლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოწყობილ იქნეს 1931 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის საწინააღმდეგო ბრძოლის საგანგებო კომისია (ხუთეული) საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისიისა, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსისა, საქართველოს სსრ ვხატკეცილებისა, ყაშირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსისა და ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციის წარმომადგენლის შედგენილობით; დაეკისროს ამ კომისიას, აღნიშნული კომიტეტის ფუნქციების გარდა, აგრეთვე, ა/კაფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგანგებო ხუთეულის დირექტივების მიხედვით და საერთო ხელმძღვანელობით, ყველა იმ ღონისძიების შეშვემავება და განხორციელება, რაც უზრუნველყოფს წყალდიდობის წინააღმდეგ თავის დროზე ბრძოლის მომზადებას და განხორციელებას, კერძოდ—ნაპირების გამაგრების სამუშაოთა თავის დროზე აღსრულებას და ნაპირების გამაგრებელ, უკვე არსებულ და ახლად მოსაწყობ, ნაგებობათა დაცვას.

2. წინადადება მიეცეს იმ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და აგრეთვე საქალაქო და სასოფლო საბჭოებს, რომელთა ქვემდებარე ტერიტორიაზედაც მოსალოდნელია მიმდინარე წლის გაზაფხულზე წყალდიდობა, დაუყოვნებლივ მოაწყონ წყალდიდობის საწინააღმდეგო ბრძოლის საგანგებო კომისიები (სამუშაოები) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა თუ სათანადო საქალაქო ან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოს და ადგილობრივი საგზაო ორგანოს წარმომადგენელთა შედგენილობით.

ზემოაღნიშნულმა ადგილობრივმა საგანგებო კომისიებმა: ა) დაუყოვნებლივ უნდა დაამყარონ კავშირი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგანგებო კომისიასთან: სარაიონო—უშუალო, ხოლო სასოფლო და საქალაქო (გარდა იმ საქალაქო საბჭოსთან არსებულისა, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება ცენტრალურ რესპუბლიკანურ ორგანოს)—სათანადო სარაიონო საგანგებო კომისიის მეშვეობით და ბ) იმოქმედონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგანგებო კომისიის დირექტივების მიხედვით და ხელმძღვანელობით.

3. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ მოაწყონ, ამა დადგენილების საფუძვლებზე, თავიანთ პრეზიდენტთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან 1931 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის საწინააღმდეგო ბრძოლის საგანგებო კომისიები და მათი მოშაობა დაუჭვემდებარონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგანგებო კომისიის საქართო ხელმძღვანელობას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ფ. შაბარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. ა. ანთაძე.

1931 წ. იანვრის 19.

ტფილისი სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 17 №-ში 1931 წ. იანვრის 20.

სამხედრო საქმე

29. დადგენილება ს.კ.ს.

1930 წლის აპრილის 16-ის დადგენილების გაუქმების შესახებ, რომელი დადგენილებაც შეეხება ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანებისა და მათი ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების უფლების თაობაზე მოწმობების მიცემის წესს.

რადგანაც ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა წესები, რომლის მიხედვითაც ყოფილ წითელგვარდიელებს, წითელპარტიზანებს და მათ ოჯახებს მიეცემათ მოწმობები სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 13-ის დადგენილებით დაწესებული შეღავათების უფლების თაობაზე და გამოირკვევა—ნამდვილად ეკუთვნის თუ არა უწყვეტი პირი წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა შედგენილობას (გახ. „ზარია ვოსტოკა“ 1931 წ. 1-ლი №-ი), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის აპრილის 16-ის დადგენილება „ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანებისა და მათი ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების უფლების თაობაზე მოწმობების მიცემის წესის შესახებ“ (კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 137) გაუქმებულ იქნეს.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ა. ანთაძე.

1931 წ. იანვრის 25.

ტფილისი—სასაბლე.

სამოქალაქო სამართალი

30. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 171 მუხლის „თ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 171 მუხლის „თ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„თ“ უკეთუ ბინის ქირას არ გადაიხდის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებისა და საწარმოს მუშა-მოსამსახურე, შრომისა და ომის ინვალიდი, რომე-

ლიც სოციალურ უზრუნველყოფაზეა, მობილიზაციით გაწვეულის ოჯახში, ვის წევლე, რომელიც სახელმწიფო სტიპენდიას იღებს—ორი თვის შემდეგ იმ დღიდან, რაც დამპირავებელი, 166 მუხლში აღნიშნული ვადის გასვლისას, მოაგონებს მას ქირის გადახდას; ხოლო უკეთეს ბინის ქირას არ გადახდის სხვა მოქალაქე—ამ მოქალაქისათვის 166 მუხლით დაწესებული ვადის გასვლიდან ხუთმეტრი დღის შემდეგ; ბინის ქირის გადაუხდელობას ვაეთანაბრება წყლისა, კანალიზაციისა, გათბობისა და განათების ფულის გადაუხდელობაც”.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. იანვრის 18.

ტფილისი-სასახლე.

31. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 171 მუხლიდან დანართად გამოცემული „სახლის დროებითი მდგმურებისა და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ ფართობზე უფლების შენარჩუნების პირობების დებულების“ მე-6 მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 171 მუხლის დანართად გამოცემული „სახლის დროებითი მდგმურებისა და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ ფართობზე უფლების შენარჩუნების პირობების დებულების“ მე-5 მუხლს (კან. კრ. 1928 წლის მე-15 №-ი, მუხ. 143) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. წინანდელ სამყოფელ ადგილას საცხოვრებელ ფართობზე უფლების შენარჩუნება იმ პირობისათვის, რომელიც სსრკ-ის შორეულ ადგილას და დიდი ქალაქის გარეშე მუშაობს, და შენარჩუნებული საცხოვრებელი ფართობის ქირის გადახდა მოწესრიგდება სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 12-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულებით—სსრკ-ის შორეულ ადგილებში და დიდი ქალაქების გარეშე მომუშავე პირთა შეღავათების შესახებ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 41 №-ი, მუხ. 426)“.

საქ. სსრ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. იანვრის 18.

ტფილისი-სასახლე.

32. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 267¹ მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1929 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 267¹ მუხლი (კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 195) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„267¹. საგარეო ფაქრობის ოპერაციების წარმოებისათვის რწმუნებულობის მიღების წესი განისაზღვრება განსაკუთრებული კანონით (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 56 №-ი, მუხ. 583).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრაია.

1931 წ. იანვრის 18.

ტფილისი-სასახლე.

33. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა და აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა ქონების სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის და კოოპერატიულ ორგანიზაციათათვის სახაყიდლით და უხახყიდლოდ გადაცემის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ივნისის 11-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 42 №-ი, მუხ. 305) 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი ქონება, რაც სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს ეკუთვნის, შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და აგრეთვე სისტემაში შემავალ კოოპერატიულ ორგანიზაციათა გამგებლობაში სასყიდლით ან უსასყიდლოდ შემდეგი წესისამებრ:

ა) უკეთეს ქონება უნდა გადაეცეს იმავე აღმასრულებელი კომიტეტის თუ საბჭოს გამგებლობაში მყოფ დაწესებულებას ან საწარმოს, — მისი პრეზიდენტის ნებართვით, მიუხედავად გადასაცემი ქონების ღირებულებისა;

ბ) უკეთეს ქონება უნდა გადაეცეს სხვა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო თუ სასოფლო საბჭოს თანხით 50.000 მანეთამდე, — ქონების გადამცემი აღმასრულებელი კომიტეტის ან საბჭოს (კუთვნილებისამებრ) პრეზიდიუმის ნებართვით;

გ) უკეთეს ქონება უნდა გადაეცეს სხვა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო თუ სასოფლო საბჭოს ან და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოს 50.000 მანეთზე მეტი თანხისა, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე 500.000 მანეთისა, ან ფედერატიულ თუ რესპუბლიკანურ დაწესებულებას ან საწარმოს, ან და კოოპერატიულ ორგანიზაციას არა უმეტეს 50.000 მანეთის თანხისა, — ქონების გადამცემი აღმასრულებელი კომიტეტის ან საბჭოს (კუთვნილებისამებრ) პლენუმის და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებართვით;

დ) უკეთეს ქონება უნდა გადაეცეს სხვა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო თუ სასოფლო საბჭოს 500.000 მანეთზე მეტი თანხისა, ან ფედერატიულ თუ რესპუბლიკანურ დაწესებულებას ან საწარმოს, ან და კოოპერატიულ ორგანიზაციას 50.000 მანეთზე მეტი თანხისა, — საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს ნებართვით საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნისამებრ.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტში აღნიშნული ქონების გადაცემა მოხდება წათანადო ორგანოს მიერ ადგილობრივი საფინანსო განყოფილების წინასწარი დასკვნის მიხედვით.

3. წესი იმ ქონების გადაცემისა, რაც სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისარიატის საბჭოს 1926 წ. ივნისის 11-ის დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული არ არის, განისაზღვრება თვითეულ ცალკე შემთხვევაში ქონების გადამცემი აღმასრულებელი კომიტეტის ან საბჭოს (კუთვნილებისამებრ) პლენუმის თუ პრეზიდიუმის მიერ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

4. ქონების გადამცემი დაწესებულება აღწერს ამა დადგენილების წესისამებრ გადასაცემ ქონებას და შეაფასებს მას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით დამტკიცებული წესების თანახმად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თამგდომარის მოვ. აღმ. ლ. ხუბიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თამგდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. იანვრის 29.

ტფილისი—სახალხო.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

34. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სარწყავი სისტემების დაცვის თაობაზე 1925 წლის დეკემბრის 8-ის თარიღით და კოლხიდის ქაობების ამოშრობის სამუშაოთა რაიონში ყრილების (ბექურების) და სალობერო ნაგებობის დაცვის თაობაზე 1929 წლის ივლისის 2-ის თარიღით გამოცემულ დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

„საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლების მინიჭების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 9-ის დადგენილების (კან. კრ. 1930 წ. 14 №-ი, მუხ. 204) დასაბამებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო იღვენს:

გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის დეკემბრის 8-ის დადგენილება „სარწყავი სისტემების დაცვის შესახებ“ (კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 112) და 1929 წლის ივლისის 2-ის დადგენილება „კოლხიდის ქაობების ამოშრობის სამუშაოთა რაიონში ყრილების (ბექურების) და სალობერო ნაგებობის დაცვის შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. 15 №-ი, მუხ. 159).

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.

1931 წ. იანვრის 25.

ტფილისი-სახალხო.

35. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

მებაშვებობის განვითარების ღონისძიებათა თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო იღვენს:

მებაშვებობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის დეკემბრის 25-ის დადგენილების (ვაზ. „კომუნისტი“ 1930 წ. დეკემბრის 27-ისა № 304) მე-3 და მე-4 მუხლები შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამა დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისათვის თავის არიდება გამოიწვევს დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 265).

ამის გარდა, უკეთუ ბამბის კულტურისათვის დანიშნულ მიწის ნაკვეთზე დათესილ იქნა რაიმე სხვა კულტურა, ეს ნაკვეთი ხელახლად უნდა მოიხნას და დაითესოს ბამბა სათანადო საგლეხო მეურნეობის ხარჯით“.

„4. აიკრძალოს სრულიად ბრინჯისა და კუნჯუტის თესვა მებამშეობის რაიონებში, და აგრეთვე აიკრძალოს ყველა დამშადებელ ორგანიზაციას ყარაიის და ბორჩალოს მებამშეობის რაიონებში სხვა რაიმე კულტურების კონტრაქტაცია, გარდა ბამბის კულტურისა, და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამზადება მოსახლეობისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდებით, ხოლო დანარჩენ რაიონებში, პირველ მუხლში აღნიშნულ რაიონთაგან, ამ ღონისძიებათა გატარება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის თანხმობის გარეშე“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. აღმ. ლ. ხუბერშვილი.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. იანვრის 13.

ტფილისი-სახალხო.

გამოქვეყნებულია გან. „კომუნისტის“ მე-12 №-ში 1931 წ. იანვრის 14.

მრეწველობა

36. დადგინდება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სარეწაო კოოპერაციის დებულების მე-3 და მე-5 მუხლების დამატებისა და იმავე დებულების 96 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

„კოოპერაციაში არასრულწლოვანთა წევრობის შესახებ“ და „კულაკთა და საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულთა კოოპერაციაში მიუშვებლობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 13-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 55 №-ი, მუხ. 590 და 591) შესაბამისად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სარეწაო კოოპერაციის დებულების მე-3 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. ამა მუხლის 1-ლი აბზაცის წესის გამოხატვის შეიძლება იმ ოჯახის წევრებისათვის, რომლის შედგენილობაშიაც არის საბჭოთა ხელისუფლების ერთგული წითელი პარტიზანი, წითელარმიელი და წითელფლოტელი (მერიგეთა და თავმდგომთა შედგენილობისა), სოფლის მასწავლებელი და აგრონომი იმ პირობით, უკეთუ ისინი იკისრებენ თავიანთი



ოჯახის წევრის თავდებობას. ხოლო ამ შენიშვნაში აღნიშნული პირნი არ შეიძლება იყვნენ სარეწაო კოოპერატიული ორგანიზაციის დამფუძნებელნი და აგრეთვე ვერ მიიღებენ მონაწილეობას მმართველობისა და რევიზიის ორგანოების არჩევნებში და თითონაც ვერ იქნებიან არჩეული ამ ორგანიზაციაში.“

2. სარეწაო კოოპერაციის დებულების მე-5 მუხლის შენიშვნა შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მე-5 მუხლის შენიშვნა. „ამხანაგობის არასრულწლოვანი წევრი, რომელსაც 16 წელი შეუსრულდა, შეიძლება არჩეულ იყოს ამხანაგობის არჩევით ორგანოში და აგრეთვე მას შეუძლიან დასდოს ხელშეკრულება და ხელი მოაწეროს ამხანაგობისა და მისი წევრების ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებას“.

3. სარეწაო კოოპერაციის დებულების 96 მუხლის 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა 1. სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობის დამფუძნებლად შეიძლება იყოს ის მოქალაქე, ვისაც დადგენილ წესით ჩამორთმეული არა აქვს საარჩევნო უფლება, და არასრულწლოვანი მოქალაქე, რომელსაც 16 წელი შეუსრულდა.“

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქ. სსრ. ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. იანვრის 18.

ტფილისი-სახალე.

ვაჭრობა. მომარაგება

37. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე საქონლის დაკვლიხა და საქონლის დახორციის გაყიდვის წესის შეხახება.

„1930/31 წლისათვის ოთხფეხი საქონლის დამზადების გეგმის განსახორციელებლად საქირო ღონისძიებითა შესახებ“ გამოცემული ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-ის დადგენილების მე-9 მუხლის თანახმად („ზარია ვოსტოკა“-ს 1930 წლ. 354 №-ი) საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს კერძო პირებს ოთხფეხი საქონლის ყიდვა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ განსაზღვრული დასახლებული პუნქტებისა და ადგილების გარეშე (მაზარი, იარმუკა, ხორციის მოედანი და სხვ.), სხვათა შორის საქონლის კარმიდამოებში შესყიდვაც.

2. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს დაუყოვნებლივ: ა) განსაზღვრონ დასახლებული პუნქტები და ადგილები ოთხფეხი საქონლის ყიდვა-გაყიდვისათვის; ბ) დაავალონ ვაჭრობის განყოფილებებსა და ვაჭრობის ინსპექტორებს აწარმოონ ოთხფეხი საქონლის

ნასყიდობის ყველა იმ გარიგების რეგისტრაცია, რაც მოხდება ამ მიზნისათვის განსაზღვრულ ადგილებში, და აძლიონ მყიდველთ და გამყიდველთ სარეგისტრაციო ცნობები.

შენიშვნა. იმ ადგილებში, სადაც ვაჭრობის განყოფილებები არ არსებობს და ვაჭრობის ინსპექტორები არ არიან, ოთხფეხი საქონლის ნასყიდობის გარიგებათა რეგისტრაციის წარმოება უნდა დაეკისროს ადგილობრივი საბჭოების თანამდებობის პირთ.

3. კერძო პირთა კუთვნილი ოთხფეხი საქონლის სასაქლაოებში დაკვლა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს ეს პირნი წარადგენენ ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ სარეგისტრაციო ცნობებს.

4. ხორცის კერძოდ ცალობითი გაყიდვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი ნორმების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც ხორცის თვითურულ კერძო მოვაჭრეს ეძლევა თვითური რაოდენობა ხორცისა.

5. აეკრძალოს კერძო პირებს დაკლული საქონლის გამოზიდვა იმ რაიონებიდან, სადაც მზადდება ეს საქონელი.

6. აეკრძალოს კერძო პირებს ღორის ხორცის ვაჭრობა, აგრეთვე ღორის ქონისაც, როგორც უმისა, ისე გადამდნარისა.

7. დადასტურებულ იქნეს კვლავ საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისარიატის საბჭოს 1930 წლის მაისის 15-ისა და სექტემბრის 23-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 142 და მე-19 №-ი, მუხ. 292) გათვალისწინებული უფლება გლეხებისა თაყიანთი მეურნეობის პროდუქტების თავისუფლად რეალიზაციისა; ამასთანავე საქონლის დასაქლაოად გაყიდვა და დაკლული საქონლისა და ხორცის გაყიდვა მათ შეუძლიანთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს წარადგენენ: ა) სასოფლო საბჭოს ნებართვას საქონლის დაკვლისას და ბ) მოწმობას გასაყიდი საქონლისა და ხორცეული პროდუქტების სავეტერინარო-სასანიტარო გასინჯვის შესახებ.

8. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 111 და 200¹ მუხლების შესაბამისად.

9. წინადადება მიეცეს:

ა) საქართველოს სსრ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატს—სამი დღის ვადაზე გამოსცეს და მიაწოდოს ვისაც ჯერ არს სახელმძღვანელოდ ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდების შესახებ;

ბ) საქართველოს სსრ-ის უზენაეს სასამართლოს — მისცეს სახალხო სასამართლოებს დირექტია ამა დადგენილების შეფარდების ნიადაგზე აღძრულ საქმეთა რიგს გარეშე განხილვის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ საქმეთა მმართველის მოადგ. ა. ანთაძე.

1931 წ. იანვრის 30.

ტელისი-სახალხო.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 26 №-ში 1931 წ. იანვრის 31.

ტრანსკორტი

38. დადგენილება ს.კ.ს.

გზატკეცილები, ყამირგზებისა და სავაო ნაგებობების გაფუჭებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და სავაო ნაგებობების გაფუჭებისაგან დაცვის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

I.

1. აეკრძალოს ყველა ორგანიზაციის და პირის წყალთა სისტემის ექსპლოატაციის დროს:

ა) სარწყავი წყლის მიშვება სავაო კიუვეტებში (გზის სანაპირო არხში);

ბ) სარწყავი წყლის მიშვება გზის ვაკისზე, გარდა ზმ ადგილებისა, რაც საამისოდ ნაჩვენებია გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსკორტის სამმართველოს ორგანოების მიერ საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სავაო ორგანოების მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის.

შენიშვნა. ვიდრე სათანადო წყლის სისტემები გადაკეთებულ იქნებოდეს, სავაო კიუვეტებში სარწყავი წყლის გაშვების აკრძალვა არა ეტყობა იმ ადგილებზე, რომლებიც ძველებური (რუსულად „ტუზენად“ წოდებული) წყლის სისტემებით ირწყვება.

2. აეკრძალოს ყველა ორგანიზაციის და პირის გზატკეცილებზე, ყამირგზებზე და სავაო ნაგებობაზე ტეფრის ვადათრევა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას.

3. დაეიკოს ყველა იმ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, რომელსაც ტრაქტორი აქვს, მოუწყოს ტრაქტორს გზატკეცილებზე და ყამირგზებზე მოძრაობისათვის სათანადო ღონისძიებები თვლები ან დეზიან თვლებზე ღებებს შუა მისამარებელი ხის კალაპოტები, და აეკრძალოს დეზიან თვლებით ტრაქტორების გზებზე მოძრაობა.

4. ამა დადგენილების 1—3 მუხლ. დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 103¹ მუხლის მიხედვით (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-16 №-ი, მუხ. 178).

5. დადგენილება ესე ძალაში შედის 15 ღლის შემდეგ დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

II.

1. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ათი ღლის ვადაზე ანალგეზური დადგენილებანი.

2. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ფართოდ აუწყონ მოსახლეობას ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლების შინაარსი და ამ მუხლების დარღვევისათვის დაწესებული გადასახდელი:

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ა. ანთაძე.**

1931 წ. იანვრის 5.

ტფილისი-სახალხო.

39. დადგენილება ც.ბ.კ.

ღირიებალმშენებლობის ხუთდღიურის ჩატარების შესახებ.

ღირიებალმშენებლობის მატერიალური სახსრის გაძლიერებისა და მისი იდეებისა და მიზნების პოპულარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ თავდაცვა-აეიაქიმის ცენტრალურ საბჭოს მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ღირიებალმშენებლობის ხუთდღიური 1931 წლ. იანვრის 24—29 ამა დადგენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საფუძველზე.

2. აღნიშნული ვადის განმავლობაში საქართველოს სსრ თავდაცვა-აეიაქიმის ცენტრალურ საბჭოს ნება დაერთოს:

ა) შეაგროვოს ხუთდღიურის სამი დღის განმავლობაში ყულაბებით ნებაყოფლობითი გამოსაღები ყველგან ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებების სადგომებში; აგრეთვე შეაგროვოს ნებაყოფლობითი შემოწირულება ხელმოსაწერი ფურცლებით დაწესებულებებსა და საწარმოებში ხუთდღიურის განმავლობაში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები ღირიებალმშენებლობის მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო თეატრის სადგომები, აგრეთვე რადიოგადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს ხუთდღიურის სამი დღის განმავლობაში დაბეგრის სახით სპეციალური გამოსაღები ყველა გასართომ სანახაობაში (თეატრი, კინო, კონცერტი, ცირკი, საბილიარდო) შემსუელელზე ბილეთის ღირებულების 10% რაოდენობით.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ იქნეს იმ გამოსაღების ვარეშე, რაც საამისოდ დაწესებულია საკავშირო კანონმდებლობის წესით.

4. ამ დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს საქართველოს სსრ თავდაცვა-აეიაქიმის ცენტრალური საბჭო ამ მიზნისათვის მოწყობილი ხუთდღიურის ჩამტარებელი განსაკუთრებული მთავარი რესპუბლიკანური კომიტეტის შეშეგობით.

სრ. საქ. ც. ბ. კ.-ის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრ. საქ. ც. ბ. კ.-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. იანვრის 18.

ტელიისი-სასახლე.

გამოქვეყნებულაა გაზ. „კომუნისტის“ მე-20 №-ში 1931 წ. იანვრის 24.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

40. დადგენილება ს.კ.ს.

დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლების შესახებ.

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის სექტემბრის 2-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 19 №-ი, მუხ. 202) 23 მუხლის 1-ლი შენიშვნის თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება აქვთ შემდეგი კატეგორიის მოქალაქეთ:

ა) ისეთი სნეულებით დაავადებულებს, რაც ვათვალისწინებულია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ სნეულებათა ვანსაკუთრებულ ნუსხაში;

ბ) სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, აგრეთვე პროფესიონალურ, პარტიულ, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და და შერეულ სააქციო საზოგადოებათა იმ მომუშავეებს, რომელთაც უჭირავთ პასუხსაგებო, თანამდებობა და ეს თანამდებობა დაკავშირებულია მუდმივ მუშაობასთან სახლში; აღნიშნულ თანამდებობათა ნუსხას და თანამდებობათა საერთო რაოდენობას თვითნებური დაწესებულებისათვის, რაც იძლევა დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლებას, დააწესებს საქალაქო საბჭო დაინტერესებულ დაწესებულებებთან შეთანხმებით; უკეთეს საქალაქო საბჭოს და დაწესებულებას შორის შეთანხმება ვერ მოხდა, საკითხს გადასწყვეტს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, ხოლო აფხაზეთის სს რესპუბლიკასა, აჭარისტანის ავტონომიურ სს რესპუბლიკასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები;

გ) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმჯდომეთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურებს, რომელნიც მიეკუთვნებიან მე-9 კატეგორიის და უფრო მაღალ კატეგორიის, ცალკეულ სამხედრო ნაწილთა კომანდირებს და კომისრებს, აგრეთვე სამხედრო სისწავლელების სპეციალური სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკური საგნების მასწავლებლებს;

დ) შრომის გმირებს;

ე) მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეებს;

ვ) რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებულ არტისტებს;

ზ) ყოველ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრებს;

თ) გამოზღვნილებებს, რომელნიც ასრულებენ სახელმწიფო ორგანოთა სისტემატურ დაავლებებს ან რომელთაც უკვე შესძინეს სახელმწიფოს თვალსაჩინო რამ გამოკონება ან გაუმჯობესება, უკეთეს ამასთანავე ისინი განაგრძობენ გამამზღვნილობის სფეროში მუშაობას;

ი) განათლების დარგის მომუშავეთა კავშირთან არსებულ სამეცნიერო დარგის მომუშავეთა სექციაში რეგისტრირებულ სამეცნიერო მომუშავეებს;

კ) ხელოვნების დარგის მაღალი კვალიფიკაციის მომუშავეებს და აგრეთვე ხელოვნების დარგის იმ მომუშავეებს, რომელნიც შრომითი ხელშეკრულებით სამუშაოს სახლში ასრულებენ (სახელმწიფო მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელი);

ლ) ლიტერატურული შრომის მაღალი კვალიფიკაციის მომუშავეებს განათლების სახალხო კომისარიატისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების შეთანხმებით სათანადო ადგილობრივ საბჭოებთან;

მ) დამცველთა კოლეგიის წევრებს, რომელნიც სახლში ასრულებენ საზოგადოებრივ სამუშაოს იურიდიული კონსულტაციისა და კოლექტივის დავალებით და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებისა, პროფკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის დავალებით;

ნ) მედიცინისა და კბილის ექიმებს, რომელნიც შინ კერძო პრაქტიკას ეწევიან—იმ სიების მიხედვით, რასაც შეადგენს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება და დამატკიცებს საქალაქო საბჭო;

ო) სახელმწიფო პენსიონერებს, უკეთეს მათ დამატებითი საცხოვრებელი ფართობი პენსიის მიღებამდე ჰქონდათ.

2. დამატებითი ფართობი, საცხოვრებელი ფართობის დაწესებული საერთო ნორმის ზედმეტად, მიეცემათ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ პირთ ცალკე ოთახის სახით. უკეთეს ცალკე ოთახი არ არის, დამატებითი ფართობი აღნიშნულ პირთ მიეცემათ 10 კვადრატული მეტრის რაოდენობით.

შენიშვნა. სამეცნიერო დარგის მომუშავეებისათვის ძალაში რჩება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1929 წლის ნოემბრის 5-ის დადგენილება (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 13 №-ი, მუხ. 129).

3. 1-ლი მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „თ“, „ი“, „კ“, „ლ“, „მ“ და „ნ“ პუნქტებში აღნიშნული პირებისათვის დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება დადგენილ იქნება სპეციალური მოწმობებით. ამ მოწმობებს მისცემს:

ა) 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნულ ავადმყოფებს—საქეიმო საკონტროლო კომისიები ან დისპანსერები;

ბ) სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მომუშავეებს (1-ლი მუხ. „ბ“ პუნქტი) და აგრეთვე სამხედრო მსახურებს (1-ლი მუხ. „გ“ პუნქტი)—სამსახურის ადგილას სათანადო დაწესებულების, საწარმოს თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით;

გ) გამოავიანებლებს (1-ლი მუხ. „თ“ პუნქტი)—გამოავიანებლობის ხელისშემწყობი სათანადო ბიურო;

დ) სამეცნიერო დარგის მომუშავეებს (1-ლი მუხ. „ი“ პუნქტი)—განათლების დარგის მომუშავეთა პროფკავშირთან არსებული სამეცნიერო დარგის მომუშავეთა სექცია;

ე) სახვითი ხელოვნების დარგის მომუშავეებს (1-ლი მუხლის „კ“ პუნქტი)—ხელოვნების დარგის მომუშავეთა პროფკავშირის ადგილობრივი განყოფილება;

ვ) ლიტერატურული შრომის მომუშავეებს (1-ლი მუხლის „ლ“ პუნქტი)— განათლების სახალხო კომისარიატი ან სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანო;

ზ) დამცველთა კოლეგიის წევრებს (1-ლი მუხლის „მ“ პუნქტი)— დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი;

თ) მედიცინისა და კბილის ექიმებს, რომელნიც კერძო პრაქტიკას ეწევიან (1-ლი მუხლის „ნ“ პუნქტი)— ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანო;

4. ცალკეული სამხედრო ნაწილების კომანდირებს და კომისრებს, ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებისა და ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების წევრებს, აგრეთვე შრომის გმირებს, მეცნიერებისა და ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს და რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებულ არტიტებს სპეციალური მოწმობა დამატებითი ფართობის უფლების შესახებ არ მიეცემა; ასეთი მოწმობის სამაგიერო იქნება მოწმობა ამა თუ იმ თანამდებობაზე ყოფნის შესახებ, სათანადო საზოგადოების წევრობის მოწმობა ან მოწმობა კანონით დადგენილ წესისამებრ მიკუთვნებული წოდების შესახებ.

5. დამატებითი ოთახი ან დამატებითი ფართობი მიცემულ უნდა იქნეს ამა თუ იმ ბინაში თავისუფალი ან ახლად გასანთავისუფლებელი ფართობიდან მას შემდეგ, რაც დამაკმაყოფილებელ იქნებიან, არსებული ნორმის მიხედვით, იმავე ბინის მდგმურები, რომელთაც საცხოვრებელი ფართობი ესაჭიროებათ. იმ პირთა სურვილის თანახმად, რომელთაც დამატებითი ფართობი ესაჭიროებათ, ეს ფართობი მიეცემა მათ სახლის სხვა ბინების თავისუფალი ფართობიდან, ხოლო იმ პირობით, უკეთეს სახლის უკვეა მდგმურები დამაკმაყოფილებულნი არიან საცხოვრებელი ფართობით დადგენილი ნორმისამებრ.

6. იმ პირს, ვისაც აქვს დამატებითი ფართობის უფლება და ვინც მას ფაქტიურად სარგებლობს, — ეს დამატებითი ფართობი არ შეიძლება ჩამოერთვას.

7. თვითველ ოჯახს, რამდენიც უნდა იყოს ამ ოჯახის წევრები, რომელთაც დამატებითი ფართობის უფლება აქვთ, მიეცემა ძირითადი ნორმის ზედმეტად მხოლოდ ერთი ცალკე დამატებითი ოთახი ან 20 კვადრ. მეტრი დამატებითი ფართობი.

უოჯახოდ მცხოვრებ პირს, რომელსაც უჭირავს ცალკე ოთახი არა ნაკლებ 10 კვადრ. მეტრისა, უკეთეს ეს პირი სამეცნიერო დარგის მომუშავეთა რიცხვს ან კერძო პრაქტიკის მქონე მედიცინის და კბილის ექიმთა რიცხვს არ ეკუთვნის, დამატებითი საცხოვრებელი ფართობი, ამ ოთახის ზედმეტად, არ მიეცემა.

8. მე-3 მუხლის წესისამებრ მიცემულ მოწმობას დამატებითი საცხოვრებელი სივრცის სარგებლობის უფლების შესახებ მოწმობის მიმცემი დაწესებულება რეგისტრაციაში გაატარებს კომუნალურ ორგანოში; ამასთანავე კომუნალურ ორგანოს უფლება არა აქვს უარი სთქვას იმ მოწმობის რეგისტრაციაზე,

რომელიც მიცემულია კანონისა და კანონის საფუძველზე დადგენილი კატეგორიებისა და რაოდენობითი ნორმების დაცვით.

მე 4 მუხლში ჩამოთვლილ პირთა მოწმობა თანამდებობისა, სათანადო საზოგადოების წევრობისა თუ წოდების მიკუთვნების შესახებ, რაც დამატებითი ფართობის უფლებას იძლევა, კომუნალური ორგანოს რეგისტრაციაში არ ვატარდება.

9. დამატებითი ფართობის უფლების შესახებ მოწმობის უკანონოდ მიცემისათვის თანამდებობის პირი, რომელიც ასეთ მოწმობას გასცემს, პასუხს აგებს სისხლის სამართლის ან დისციპლინალური წესით.

ამის გარდა, უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ მოწმობა უკანონოდ იყო გაცემული, იგი ვაბათილდება.

10. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელდება როგორც ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებზე, ისე კერძო მფლობელობის სახლებზე, გარდა აღნაგობის უფლებით აგებული, აღდგენილი და დამთავრებული სახლებისა და აგრეთვე საბინაო საშენებლო კოოპერაციის კუთვნილი სახლებისა.

11. იმ პირს, ვინც ამა დადგენილების თანახმად დამატებითი ფართობს სარგებლობს, უკეთუ მოისპო ის საფუძველი, რაც დამატებითი ფართობის სარგებლობის უფლებას იძლევა, შეენარჩუნება დამატებითი ფართობის უფლება სამი თვის განმავლობაში.

12. უკეთუ არსებობს შეუთანხმებლობა იმ საკითხის გამო, რომ დამატებითი ფართობის უფლება შეენარჩუნოს განსაზღვრული თანამდებობის პირებს ან სხვა პირებს, 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთაგან, დამატებითი ფართობის უფლება შეენარჩუნება ამ პირთ მანამდე, ვიდრე შეუთანხმებლობა 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტის წესისამებრ გადაწყდებოდეს.

13. ამა დადგენილების გამოცემისთანავე ძალადაქარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 3-ის დადგენილება „დამატებითი საცხოვრებელი სივრცის უფლების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 28; მე-12 №-ი, მუხ. 187 და მე-14 №-ი, მუხ. 220).

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. ა. ანთაძე.
1930 წ. დეკემბრის 14.
ტფილისი-სახალხო.



41. დადგენილება ს.კ.ს.

შინამრეწველობასა და ხელოსნობაში მომუშავე მოზარდთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

შინამრეწველობასა და ხელოსნობაში მომუშავე მოზარდთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის კავშირს განახორციელოს საერთო საცხოვრებელთა მშენებლობა შინამრეწველობასა და ხელოსნობაში მომუშავე მოზარდთა დიდი დაჯგუფების ადგილებში იმ რაიონის შინამრეწველობისა და ხელოსნობის ცალკეულ საწარმოთა სახსარის გაერთიანებით, სადაც ასეთი დაჯგუფებანია.

2. ამა დადგენილების 1 მუხლით გათვალისწინებული მუშათა სახლები და საერთო საცხოვრებლები აგებულ უნდა იქნეს თვითველ სულზე 6 მეტრის ფართობის ვარაუდით, სათანადო გაწყობილობით და კომუნალური მომსახურებით, თანაც ამ სადგომებში უნდა მოეწყოს საზოგადოებრივი კვება და კულტურულ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი კუთხეები.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის კავშირს გაატაროს თავის სისტემაში ანარიცხების გადადება შინამრეწველობისა და ხელოსნობის საწარმოთა მოგებიდან 5%-ის რაოდენობით იმ მოზარდთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, რომელნიც მუშაობენ ყველა ამ საწარმოში, და ეს ანარიცხები მოათავსოს თავისთან ცენტრალიზებული წესით დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

4. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს გაითვალისწინონ საბინაო მშენებლობის გეგმის შედგენის დროს სახსრის ნაწილის გამოყოფა საერთო საცხოვრებლების ასაგებად იმ მოზარდთათვის, რომელნიც მუშაობენ შინამრეწველობასა და ხელოსნობაში.

საქ. სსრ. ს. კ. ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ა. ანთაძე.

1931 წ. იანვრის 5.

ტიფლისი-სახალხო.

42. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამრეწველო მუშებისათვის საბინაო ხფეროში ზოგიერთი შეღავათის მინიკების შესახებ.

რათა მუშები საწარმოთ დაუახლოვდნენ და გაადვილებულ იქნეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მონაწილეობა, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ყველა იმ ახლად აშენებულ მუნიციპალურ სახლებში, რომლებიც სამრეწველო საწარმოთა ახლო მდებარეობს, საცხოვრებელი ფართობის 75%-ი მიანიც უნდა მიეცეს ამ საწარმოთა მუშებს.

2. სამრეწველო საწარმოთა მდებარეობის რაიონში არსებულ მუნიციპალურ სახლებში განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობი უნდა მიეცეს უპირატესად ამ საწარმოთა მუშებს.

3. საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ დაიჯარებულ სახლებში განთავისუფლებულ საცხოვრებელ ფართობზე დასახლების დროს უპირატესობა უნდა მიეცეს აღნიშნულ ამხანაგობათა იმ წევრებს, რომელნიც მუშაობენ მახლობლად მდებარე სამრეწველო საწარმოში.

4. ამა დადგენილების განხორციელების მიზნით დაევალოს საქალაქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეადგინონ, საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ან მის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, ერთი თვის ვადაზე, იმ სახლების სია, რომლებიც მიმდგრებულ უნდა იქნეს ამა თუ იმ სამრეწველო საწარმოზე და რომლებშიც ჩასახლებულ უნდა იქნენ ამ საწარმოთა მუშები საცხოვრებელი ფართობის განთავისუფლებისას.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. აღმასრ. ლ. სუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრაია.

1931 წ. იანვრის 7.

ტფილისი-სასახლე.

43. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-სა დადგენილების 23 მუხლის 1-ლი შენიშვნის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენენ:

„საქართველოს სსრ ქალაქებსა ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 19 №-ი, მუხ. 202) 23 მუხლის 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა 1. დამატებითი ოთახისათვის ან დამატებითი საცხოვრებელი ფართობისათვის უკანასკნელი 10 კვადრ. მეტრის ფარგლებში, რაც ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეთ ეძლევათ, ქირა გადახდილ უნდა იქნეს ერთმაგი რაოდენობით.

დამატებითი ოთახის ან დამატებითი საცხოვრებელი ფართობის მიცემის წესსა და საფუძველს დაადგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო“.

სრ. საქ. ც. კ. კ-ის თავმჯდომარის მოვ. აღმასრ. ლ. სუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრაია.

1931 წ. იანვრის 7.

ტფილისი-სასახლე.

უ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

44. დადგენილება ს.კ.ს.

სოფლების რაიონებში სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის დაწესებული ერთდროული გამოსაღების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩატარების შესახებ.

„სოფლის რაიონებში სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის ერთდროული გამოსაღების დაწესების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 9-ის დადგენილებისა („სსრკ-ის ცენტრალური კომისართა საბჭოს 1931 წ. მე-10 №-ი) და ამ კანონის განსაზღვრებით აღკვეთილად აკისრებული კომისართა საბჭოს მიერ 1931 წ. იანვრის 13-ის თარიღით გამოცემული დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 1931 წ. მე-15 №-ი) თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ზემოაღნიშნული ერთდროული გამოსაღების შემდეგი განაკვეთები:

1) აფხაზეთის სსრ-ში, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში:

ა) კულაკურ მეურნეობათათვის, რომელნიც 1930 წელს დაბეგრულ იქნენ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ—100%/₆-ის რაოდენობით 1930 წელს შეწერილი ერთიანი სას.-სამ. გადასახადის თანხისა;

ბ) საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათათვის—65%/₆-ის რაოდენობით 1930 წ. შეწერილი ერთიანი სას.-სამეურნეო გადასახადის თანხისა, ხოლო არა ნაკლებ 6 მანეთისა მეურნეობაზე;

2. ლიუქსემბურგისა, ქუთაისისა, ვანისა, ზესტაფონისა, სამტრედიისა, ზონისა, გურჯაანისა, თელავისა სიღნაღისა, გორისა, ბორჯომისა, სტალინისისა ოზურგეთისა, სენაკისა, ზუგდიდისა და ბაღდადის რაიონებში:

ა) კულაკურ მეურნეობათათვის, რომელნიც 1930 წელს დაბეგრულ იქნენ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ—123%/₆-ის რაოდენობით 1930 წ. შეწერილი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხისა;

ბ) საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათათვის—80%/₆-ის რაოდენობით 1930 წ. შეწერილი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხისა, ხოლო არა ნაკლებ 6 მანეთისა;

3) ტფილისისა, აღმულალ-მანგლისისა, მცხეთისა, აბაშისა, ბორჯომისა, ბაშკინეთისა, ჩხარისა, ხარაგოულისა, ლაგოდეხისა, ყვარელისა, კასპისა, ლანჩხუთისა, წალენჯიხისა, ხობისა, ახალციხისა, ახალქალაქისა და ზოგდანოვის რაიონებში:

ა) კულაკურ მეურნეობათათვის, რომელნიც 1930 წ. დაბეგრულ იქნენ ერთიანი სას.-სამ. გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ—92%-ის რაოდენობით 1930 წ. შეწერილი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა;

ბ) საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათათვის—60%-ის რაოდენობით 1930 წ. შეწერილი ერთიანი სას.-სამ. გადასახადის თანხისა, ხოლო არა ნაკლებ 6 მანეთისა;

4) ღუშეთისა, ერწო-თიანეთისა, ხევისა, წალკისა, ამბროლაურისა, ოკრიბისა, ონისა, ცაგერისა, კიათურისა, ჩოხატაურისა, მარტვილისა, ჩხოროწყუისა, ადიგენისა, ტოლოშისა და ქვემო-სვანეთის რაიონებში:

ა) კულაკურ მეურნეობათათვის, რომელნიც 1930 წ. დაბეგრულ იქნენ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ, 77%-ის რაოდენობით 1930 წ. შეწერილი ერთიანი სას.-სამ. გადასახადის თანხისა;

ბ) საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათათვის—50% რაოდენობით 1930 წ. შეწერილი ერთიანი სას.-სამ. გადასახადის თანხისა, ხოლო არა ნაკლებ 6 მანეთისა.

II. უფლება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ რესპუბლიკის თუ ოლქის ცალკეულ რაიონებში სხვადასხვა განაკვეთები, ხოლო იმ პირობით, რომ საშუალო განაკვეთის მიხედვით რესპუბლიკებისა და ოლქისათვის გამოანგარიშებული გამოსაღების საერთო თანხა შეცვლილ არ იქნეს.

უფლება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ ცალკე შემთხვევაში სხვადასხვა განაკვეთები ამა თუ იმ სოფლებისათვის, ხოლო არ შესცვალონ გამოსაღების საერთო თანხა, რაც მოდის ამა თუ იმ სოფელზე საშუალო განაკვეთის თანახმად გამოანგარიშების მიხედვით.

შენიშვნა. ცალკეულ რაიონებსა და სოფლებისათვის, ამა მუხლის თანახმად, განაკვეთების დაწესების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ცალკეული რაიონის თუ სოფლის გლეხობის ეკონომიური ძალოვნება, შემოსავლის საერთო რაოდენობა, სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების თავისუფალ ბაზარზე გაყიდვა, არასამიწათმოქმედო საშოვარის რაოდენობა, ადგილის დაშორება ჭალაქსა და სამრეწველო ცენტრებიდან, სასაქონლო პროდუქციის განვითარება რაიონში, დამზადებათა გეგმების ოდენობა, ახალ მშენებლობის წარმოება და სხვა.

III. სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარია საბჭოს 1931 წ. იანვრის 9-ის დადგენილების 13 მუხლისა და აქსუსრ სახალხო კომისარია საბჭოს 1931 წ. იანვრის 13-ის დადგენილების მე-13 მუხლის თანახმად დაწესებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიითურთ, შემდეგი ზღვრული ვადები ერთდროული გამოსაღების გადახდასათვის: კულაკურ მეურნეობათათვის 1931 წ. თებერვლის 1-თვის მთლიანად, ხოლო ყველა სხვა კატეგორიის გადახდელთათვის თებერვლის 20-დღე—50% შეწერილი გამოსაღებისა და მარტის 15-დღე—დანარჩენი 50%-ტი შეწერილი გამოსაღებისა.

IV. ამა დადგენილებაში აღნიშნული გამოსაღები შედის სასოფლო ბიუჯეტების შემოსავალში ტერიტორიალური ნიშნის მიხედვით.

სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ, მცირეძალოვან სასოფლო ბიუჯეტებისათვის დახმარების გასაწევად, გადარიცხონ მოწესრიგების სარაიონო ფონდებში არა უმეტეს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე შემოსული გამოსაღების 30%-ისა.

აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ დააწესონ ერთდროული გამოსაღების ანარიცხები რესპუბლიკისა და ოლქის მოწესრიგების ფონდებში არა უმეტეს შემოსული გამოსაღების 30%-ისა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მართველის მოად. ა. ანთაძე.

1931 წ. იანვრის 23.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 20 №-ში 1931 წ. იანვრის 24.

შ რ ო მ ა

45. დადგინდება ს.კ.ს.

იმ დადგინდების გაუქმების შესახებ, რაც გამოცემულია ისეთ საგლეხო მეურნეობათა უკიდურესი ოდენობის განსაზღვრისათვის, რომლებზედაც არა ვრცელდება დროებითი წესები საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული დამხმარე შრომის გამოყენების თაობაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „იმ საგლეხო მეურნეობათა უკიდურესი ოდენობის შესახებ, რომლებზედაც არა ვრცელდება დროებითი წესები საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული დამხმარე შრომის გამოყენების თაობაზე“ (კან. კრ. 1928 წ. მე-14 №-ი, მუხ. 136) გაუქმებულ იქნეს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მართველის მოადგ. ა. ანთაძე.

1931 წ. იანვრის 15.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 23 №-ში 1931 წ. იანვრის 28.

46. დადგინდება ს.კ.ს.

1931 წლისათვის სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმების საფუძვლების შესახებ.

საქართველოს სსრ-ში სამუშაოს ხასიათით და მოცულობით თანაბარ თანამდებობათა შრომის სასყიდლის მრავალნაირობის თავიდან აცილების მიზნით და ამ მხრივ საშმართველო აპარატის მომუშავეთა ჩამორჩენილი ჯგუფების წინ წაწევის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1931 წლისათვის საშმართველო აპარატების თანამშრომელთა ჯამაგირების განხილვისა და დამტკიცების დროს არ შეიძლება წარსულ საბიუჯეტო წლის დაწესებული შრომის დიდსასყიდლიან თანამშრომელთა ჯგუფების ჯამაგირის გადიდება და შეიძლება მხოლოდ მცირესასყიდლიან თანამშრომელთა (შეიკრიკი, მცველი, მანქანით გადაამწერი, საქმისმწარმოებელი და სხვ.) წინ წაწევა სამუშაო ხელფასში იმ პირობით, რომ ზედმიწევნით დაცულ იქნეს ჯამაგირის მტკიცე განაკვეთები და 1931 წლისთვის განსაზღვრული სამუშაო ხელფასის ფონდი არ იქნეს გადამეტებული.

2. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებული და ფაქტიურად განაცემი ჯამაგირი აღემატება ამა თუ იმ ადგილას თანასწორი თანამდებობათათვის უპირატესად შემოღებულ სასყიდელს, აღნიშნული ჯამაგირი სტაბილიზებულ იქნეს.

3. ისეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, როდესაც ზოგიერთი დაწესებულება არღვევს წესებს თანაბარი სასყიდლის გაცემისას არსებითად თანასწორ თანამდებობათათვის და უდიდებს ცალკეულ მომუშავეთა სამუშაო ხელფასს თანამდებობის სახელწოდების შეცვლის საშუალებით ან სხვა ფორმით, აგრეთვე ამავე საშუალებით მომუშავეთა გადაბირების თავიდან ასაცილებლად — მიენდოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას, შტატების შემოწმების დროს, დააწესოს თანამდებობათათვის სამუშაოს შესაბამისი სახელწოდებანი, თანაც სამუშაოს დახასიათებით.

4. წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს შეამოწმოს, ერთი თვის ვადაზე, მუშათა და გლეხთა ინსპექციისთან ერთად, რამდენად სწორედ არის განხორციელებული სახელმწიფო დაწესებულებებში სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვა და ამ შემოწმების შედეგი მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

5. რადგანაც ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაცია არღვევს სამუშაო ხელფასის რეგულირების თაობაზე არსებულ დირექტივებს და 1931 წლისათვის თვითნებისად აწესებს გადიდებულ ჯამაგირებს, კატეგორიული წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო ორგანიზაციას და მათ შენაერთებს მტკიცედ მისდიონ აღნიშნულ დირექტივებს.

6. მიენდოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას, უკეთეს გამოამჯარაებულ იქნება ამგვარი დარღვევა, დამნაშავენი პასუგისგებაში მისცენ.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ა. ანთაძე.

1931 წ. იანვრის 15.

ტფილისი — სასახლე.

სოციალურ-კულტურული წყობილება

47. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„უმაღლეს სასწავლებელთა დებულებისა“ და „დინტერესებულ სახალხო კომისარიატებზე, ტრესტებზე, სამეურნეო ორგანიზაციებზე, კოოპერატიულ და კოლექტიურ მეურნეობებზე უმაღლესი სასწავლებლები და საშუალო პროფესიონალურ-ტექნიკურ სასწავლებლების მიმავრების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების ძალადაქარგულად ჩათვლის შესახებ.

იმ გარემოებისთან დაკავშირებით, რომ გამოიცა: ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1930 წ. ივლისის 7-ის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში უმაღლესი და საშუალო განათლების სკოლების რეორგანიზაციის შესახებ“ (კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 218); ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1930 წ. მაისის 18-ის დადგენილება „საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის გადაცემისა და ამ ფაკულტეტის ტფილისის სასფლო-სამეურნეო ინსტიტუტად გადაკეთების შესახებ“ (კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 162) და გ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 22-ის დადგენილება „სახალხო კომისარიატებისა და სამეურნეო ორგანიზაციების გამგებლობაში გადაკემული უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ხელშეწყობის შესახებ“ (კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 248), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენენ:

ძალადაქარგულად ჩათვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1923 წ. იანვრის 12-ის დადგენილებით დამტკიცებული „დებულება უმაღლეს სასწავლებელთა შესახებ“ (კან. კრ. 1923 წ. 1 №-ი, მუხ. 7) და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 5-ის დადგენილება „დინტერესებულ სახალხო კომისარიატებზე, ტრესტებზე, სამეურნეო ორგანიზაციებზე, კოოპერატიულ და კოლექტიურ მეურნეობებზე უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო პროფესიონალურ-ტექნიკურ სასწავლებლების მიმავრების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 277).

სრ. საქ. ც. კ-ის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდია.

1931 წ. იანვრის 18.

ტფილისი—სახალფ.

48. დადგენილება ს.კ.ს.

საბჭოთა მშენებლობის ათის წლის მიღწევათა გამოფენის მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. საქართველოს გასაბჭოების ათის წლის თავის აღსანიშნავად მოწყობილ იქნეს გამოფენა საბჭოთა მშენებლობის ათის წლის მიღწევებზე საქართველოს სსრ-ში.

2. მიღწევათა გამოფენის მოწყობისათვის საჭირო ხარჯები მიეწეროს იმ უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომელნიც წარმოადგენილ იქნებიან გამოფენაზე — მათი მონაწილეობის ოდენობის შესაბამისად და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ცენტრალური საიუბილეო კომისიის დირექტივების თანახმად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ, ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ა. ანთაძე.

1931 წ. იანვრის 15.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 23 №-ში 1931 წ. იანვრის 28.

49. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

პერსონალური პენსიების დებულების გაუქმებისა და პერსონალური პენსიების დანიშვნის წესის დამყარების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 16-ის დადგენილებით „პერსონალური პენსიების დებულების“ დამტკიცებასა და სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით („ზარია ვოსტოკა“-ს 1931 წ. 1-ლი №-ი) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

I.

გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 16-ის დადგენილებით დამტკიცებული „დებულება პერსონალური პენსიების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 26 და მე-12 №-ი, მუხ. 108; 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 19 და მე-12 №-ი, მუხ. 172).

II.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 16-ის დადგენილებით დამტკიცებული „პერსონალური პენსიების დებულების“ მე-9 მუხლის განსავეითარებლად დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი პერსონალური პენსიების დანიშვნისა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებით და ოლქითურთ:



1. პერსონალური პენსიების დანიშვნის შესახებ აღძრულ შუამდგომლობათა განსახილველად საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან მოეწყობა პერსონალური პენსიების დანიშნავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ან მისი მოადგილე და წევრები—ფინანსთა, შრომისა და განათლების სახალხო კომისარიატებისა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი, რომელთაც პერსონალურად დანიშნავს სახალხო კომისარიატის საბჭო. ამ კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს დაამტკიცებს სახალხო კომისარიატის საბჭო.

2. პერსონალური პენსიების დებულებით* გათვალისწინებული პერსონალური პენსიების დანიშვნის წესის გამოხატვისას, პერსონალური პენსიების დანიშვნა შეიძლება მხოლოდ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დამტკიცებით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. აღმ. ლ. ხუბიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. სსრ ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. იანვრის 29.

ტფილისი-სასახლე.

სისხლის სამართალი.

50. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის 1-ლი ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭო აღდგენენ:

საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის 1-ლი ნაწილი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

* „ნადირობა, თევზაობა ან წყალზე სხვა რამ მოპოებითი რეწაობა აკრძალულ დროს, აკრძალულ ადგილას და აკრძალულ საშუალებითა და ხერხით ან სითანადო ნებართვის მიუღებლად, როდესაც ასეთი ნებართვის მიღების აუცილებლობა დადგენილია ეკონომიკის, გამომწვევს

თვისსუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე, სანადირო და სათევზაო იარაღისა და ავრეთეფ უკანონო რეწვისათვის სახმარი ნაეჭურჭლის კონფისკაციით, ან უამისოდ, და უკანონოდ მონაპოჭარის ჩამორთმევით“

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვალ. ამსრ. ლ. ხუბიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. იანვრის 7.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „გაზ. კომუნისტის“ 23 №-ში, 1931 წ. იანვრის 28.

51. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში მოთავსებულთა და ამ დაწესებულებებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში მოთავსებულთა და ამ დაწესებულებებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. ნოემბრის 3-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ საპატიმრო ადგილებში მყოფ პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 83).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. აღმ. დ. ხუბიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. იანვრის 7.

ტფილისი-სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში მოთავსებულთა და ამ დაწესებულებებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტის შესახებ.

1. ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში მოთავსებულთა და ამ დაწესებულებებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტს მიზნად აქვს:

ა) მორალური და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს შრომა-გასწორების დაწესებულებებიდან განთავისუფლებულთ, რომელნიც მშრომელთა წრეს ეკუთვნიან;

ბ) მორალური და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს შრომა-გასწორების დაწესებულებებში მოთავსებულ პირთ და მათ ოჯახთ, რომელნიც მშრომელთა წრეს ეკუთვნიან;

დამხმარე კომიტეტის მზრუნველობაზე მიიღებთან ზემოაღნიშნულ პირთა შორის ისინი, ვინც ამაზე თანხმობას განაცხადებს.

შენიშვნა 1. აღმინისტრაციული ან სასამართლო წესით განტყუებული თუ გადასახლებულნი დახმარების გაწევის მხარით შრომა-გასწორების დაწესებულებებში მოთავსებულთ უთანასწოროდებიან.

შენიშვნა 2. ამა დებულების ყველა წესი შეიძლება გავრცელებულ იქნეს იმ პირებზე, ვინც შრომა-გასწორების დაწესებულებებში მოთავსებულთა რჩენაზე იმყოფებოდა დაპატიმრებამდე.

2. დამხმარე კომიტეტი მოეწყობა სახელმწიფო, პროფესიონალური, კოოპერაციული და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისა, აგრეთვე იმ ცალკე მოქალაქეების გაერთიანებით, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული არა აქვთ და რომელნიც გამგეობის წინადადებით მიღებულ იქნებიან კომიტეტის საერთო კრების მიერ.

კომიტეტს აქვს იურიდიული პირის უფლება.

3. პირველ მუხლში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად დამხმარე კომიტეტი:

ა) დააარსებს ფულად და მატერიალურ ფონდებს;

ბ) დახმარებას გაუწევს 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირებს სამუშაოს ან სამსახურის შოვნისათვის და სამშობლოში ან სამსახურის (სამუშაოს) იდგილას წასვლისათვის;

გ) მოაწყობს საერთო საცხოვრებლებს, სასადილოებს და სახელოსნო-საწარმოო და საეაჭრო საწარმოთ;

დ) გააერთიანებს შრომა-გასწორების დაწესებულებებიდან განთავისუფლებულთ არტელისა, კოოპერაციებისა და სხვა სახით;

ე) ხელს შეუწყობს 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირებს შეღავათიანი პირობით შეიძინონ სამუშაო იარაღი და საოჯახო საგნები;

ვ) დააარსებს პროფესიონალურ და საერთო განათლების სკოლებს და კურსებს;

ზ) გაუწევს 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირებს სამკურნალო და იურიდიულ დახმარებას;

თ) მოაწყობს ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, კლუბებს, გამოფენებს, ლექციებს, წარმოდგენებს, კონცერტებს და სხვ.;

ი) მოიწვევს კონფერენციებსა და ყრილობებს და გამოსცემს ნაშრომებს და ჟურნალებს თავისი მოქმედების საკითხების სფეროში;

კ) შეიტყენს, გაასხვისებს და იჯარით იღებს თავისთვის საჭირო ქონებას და დასდებს გარიგებას და ხელშეკრულებას, რაც კომიტეტის მიზნებს შეესაბამება.

შენიშვნა. მე-3 მუხლში აღნიშნულ უფლებამოსილობას კომიტეტი განახორციელებს არსებულ კანონთა თანახმად და ამ კანონებით განსაზღვრულ ფარგლებში.

4. კომიტეტის გამგეობა იმყოფება ქალ. ტფილისში. კომიტეტს შეუძლიან რესპუბლიკის სხვა ქალაქებში იქონიოს განყოფილებანი. განყოფილება მოეწყობა კომიტეტის ანალოგიისამებრ და თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს ამა დე-

ბულებას, აგრეთვე დამხმარე კომიტეტის ცენტრალური ორგანოების დირექტორებსა და განკარგულებებს.

5. კომიტეტს აქვს თავისი ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერძის გამოსახულებით და სახელწოდების წარწერით.

6. კომიტეტის წევრებს მიეცემათ საწევრო წიგნაკები გამგეობის მიერ დადგენილი ფორმით.

II. კომიტეტის შედგენილობა.

7. კომიტეტი შესდგება: ნამდვილი წევრებისაგან და წევრ-თანამშრომლებისაგან.

8. კომიტეტის ნამდვილ წევრად ითვლება: ა) დაწესებულება და ორგანიზაცია—მის მიერ წარგზავნილი დელეგატის სახით; ბ) ის მოქალაქე, რომელსაც კომიტეტის საერთო კრება, გამგეობის წინადადებისამებრ, წევრად მიიღებს.

9. წევრ-თანამშრომლად შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც სურს ხელი შეუწყოს კომიტეტის მუშაობას და რომელიც წევრ-თანამშრომლად ჩაირიცხება კომიტეტის გამგეობის დადგენილებით. კომიტეტის კრებაზე წევრ თანამშრომელს აქვს სათათბირო ხმის უფლება, და იგი არ შეიძლება არჩეულ იქნეს კომიტეტის ორგანოების შედგენილობაში.

10. კომიტეტის წევრთა რიცხვიდან გასულა შეიძლება ან გამსვლელის პირადი განცხადებით, ან კომიტეტის საერთო კრების დადგენილებით; ამასთანავე, უკანასკნელ შემთხვევაში წევრთაგან გამოირიცხვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ წევრი თავისი საქციელით სახელს გაუტეხავს კომიტეტს, ან ჩაიდენს სისხლის სამართლით სადევნელ ქმედობას.

11. დამხმარე კომიტეტი და მისი განყოფილებანი აერთიანებენ და ხელმძღვანელობას უწყევნ ხელისშემწყობ ჯგუფებს, რომლებიც მათი მოქმედების რაიონებში მოეწყობიან. ხელისშემწყობი ჯგუფები მოეწყობიან იმ საფუძველზე, რომ 1-ლ მუხლში აღნიშნული პირებისათვის დახმარების გაწევის საქმეში ფართოდ ჩააბან საბჭოთა საზოგადოებრიობა.

III. კომიტეტის მმართველობის ორგანოები.

12. კომიტეტის მმართველობის ორგანოები არიან:

- ა) კომიტეტის წევრთა საერთო კრება.
- ბ) კომიტეტის გამგეობა და
- გ) სარევიზიო კომისია.

13. კომიტეტის საერთო კრებას მოიწვევს კომიტეტის გამგეობა უწყებების დაგზავნით ან განცხადებით. საერთო კრება შემდგარად ჩაითვლება, უკეთეს მას დაესწრო ქალაქ ტფილისში მყოფ წევრთა რიცხვის ერთი მეხუთედი მაინც. მეორე კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

14. საერთო კრება მოწვეულ უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც.

15. საერთო კრება მოიწვევა გამგეობის ინიციატივით და აგრეთვე სარევიზიო კომისიის დადგენილებით, ან ნამდვილ წევრთა მოთხოვნით, რომელთა

რიცხვი აიღეს ნაკლები არ უნდა იყოს; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება ორი კვირის განმავლობაში.

16. საერთო კრებაზე უოველი საქმე გადაწყდება ხმის ახდილად მიცემით და დამსწრე წევრთა ხმის მარტივი უმეტესობით, გარდა კომიტეტის წევრის გამორიცხვისა; ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა არა ნაკლებ დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედისა. უკეთესი ხმები შუაზე გაიყოს, საკითხი უარყოფილად ჩაითვლება. ხმის უფლების გადაცემა არ შეიძლება.

17. საერთო კრება:

ა) აირჩიეს კომიტეტის გამგეობის წევრებს და სარევიზიო კომისიის წევრებს;

ბ) დაამტკიცებს ინსტრუქციებს სარევიზიო კომისიისა, კომიტეტის თანამდებობის პირებისა, და სხვა ორგანოებისათვის;

გ) განიხილავს და დაამტკიცებს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მიერ შეტანილ განხრახულებათ;

დ) განსნის და დახურავს კომიტეტის განყოფილებებსა და სხვა მის ორგანიზაციებს და დაამტკიცებს კომიტეტის განყოფილებათა დებულებებს;

ე) მიიღებს ნამდვილ წევრად ცალკეულ პირებს და გამორიცხავს კომიტეტის წევრებს;

ვ) განიხილავს და დაამტკიცებს გამგეობის ანგარიშს კომიტეტის მოქმედების შესახებ, მისი მომავალი მუშაობის პროექტს და წლიურ ბარჯთაღრიცხვას;

ზ) განიხილავს, განხრახულებებს ამა დებულების შეცვლის შესახებ;

თ) გადასწყვეტს საკითხს კომიტეტის დახურვის შესახებ.

18. კომიტეტის გამგეობა არის მისი აღმასრულებელი ორგანო და შესდგება თავმჯდომარისა, პასუხისმგებელი მდივნისა და გამგეობის წევრებისაგან, რომელთა რიცხვს განსაზღვრავს საერთო კრება.

საერთო კრების მიერ არჩეული გამგეობის წევრების გარდა კომიტეტის გამგეობის შედგენილობაში შედის თითო წარმომადგენელი: სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტისა, და ეს წარმომადგენელი არის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოსი, სახელმწიფო პროკურატურისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი და ტფილისის საქალაქო საბჭოსი. კომიტეტის წევრებად არაინ აგრეთვე საქართველოს სსრ მილიციისა, სამშენებლო და შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი და ამ სამმართველოს ორი წარმომადგენელი.

19. კომიტეტის განყოფილების გამგეობის შედგენილობაში შედიან: შრომა-გასწორების ადგილობრივი დაწესებულების უფროსი ან სათანადო სადმინისტრაციით განყოფილების გამგე, სასამართლო ორგანოს წარმომადგენელი და პროფესიონალური კავშირის ორგანიზაციის წარმომადგენელი. განყოფილების გამგეობის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს დაამტკიცებს კომიტეტის გამგეობის პრეზიდენტი ადგილობრივ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

20. კომიტეტისა და განყოფილების გამგეობას შეუძლიან მიმდინარე მუშაობისათვის გამოჰყოს თავისი შედეგნილობიდან პრეზიდენტში, რომლის გამგებლობის ფარგალსაც განსაზღვრავს გამგეობა.

პრეზიდენტის ერთ-ერთი წევრი აირჩევა პასუხისმგებელ მდივნად. პრეზიდენტის თავმჯდომარედ არის გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო მის არყოფნის დროს—პასუხისმგებელი მდივანი.

21. კომიტეტის გამგეობა თვალყურს ადევნებს საერთო კრების დადგენილებათა აღსრულებას, აგრეთვე კომიტეტისა და მის საწარმოთა მოქმედების სათანადო მსვლელობას, განაგებს სადმინისტრაციო, საფინანსო და სამეურნეო ნაწილს და პასუხს აგებს კომიტეტის მუშაობის მიმართულებისა და შედეგებისათვის; გამგეობა აწესებს მუდმივ შტატს კომიტეტისა და მის საწარმოთა თანამშრომლებისას; გამგეობა ვასცემს რწმუნებულობას კომიტეტისა და მის საწარმოთა საქმეების მართვა გამგებლობისათვის; რწმუნებულობას ხელს აწერენ გამგეობის თავმჯდომარე და პასუხისმგებელი მდივანი.

შენიშვნა. კომიტეტისა და მის საწარმოთა თანამშრომლებს მიიღებს და დაითხოვს კომიტეტი ან მისი მინდობილობით გამგეობის თავმჯდომარე ან პასუხისმგებელი მდივანი.

22. კომიტეტისა და მისი განყოფილების გამგეობა ყოველ წელს შეადგენს კომიტეტისა და გამგეობის მოქმედების ანგარიშს, აგრეთვე თანხების ბალანსს—საერთოს და ცალკეულს—კომიტეტის ამა თუ იმ საწარმოსათვის.

23. სარევიზიო კომისია შეამოწმებს კომიტეტისა და მის განყოფილებათა და საწარმოთა სამეურნეო, საწარმოო და საფინანსო მოქმედებას, აგრეთვე სათანადო ანგარიშებსა და ბალანსებს.

IV. კომიტეტის სახსარი.

24. კომიტეტის სახსარს შეადგენს:

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტით გაცემული თანხა;
- ბ) შრომა-გასწორების დაწესებულებების საწარმოთა წმინდა მოგების ანარიცხი;
- გ) დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობით შემოსული თანხის ანარიცხი;
- დ) მფარველობის ქვეშ მყოფ პირთა სამუშაო ხელფასის ანარიცხი არა უმეტეს 20⁰/₁₀₀-ისა;
- ე) სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა სუბსიდია;
- ვ) თავის საწარმოთა და სხვა ღონისძიებით მიღებული მოგება;
- ზ) ცალკეულ საწარმოთა სხვადასხვა შემთხვევითი შემოსავალი, ანარიცხი და სხვა;

თ) შეწირულება.

25. კომიტეტის მიერ ყოველი წლის ბოლოს მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგნაირად:

- ა) კომიტეტის საწარმოთა სავაჭრო პუნქტთა და მშენებლობის გასაფართოებლად—50⁰/₁₀₀;



- ბ) დახმარების ფონდში—20⁰/₀;
 გ) კომიტეტის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ფონდში—5⁰/₀;
 დ) შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს საპენიტენციარო ფონდში—15⁰/₀;
 ე) მუდმივი მუშებისა და მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში—10⁰/₀.

V. საწარმოთა და მათში მუშაობის შესახებ.

26. დამხმარე კომიტეტი მოაწყობს თავის/საწარმოო შრომა-გასწორების დაწესებულებებიდან განთავისუფლებულთა შრომის გამოსაყენებლად, შეძლებისა-დაგვარად, დროებითი სამუშაოს მიცემით.

შენიშვნა. დამხმარე კომიტეტს შეუძლიან გამოიყენონ სამუშაოზე თავის საწარმოში და დაწესებულებაში აგრეთვე სხვა პირნიც, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე საწარმოს მუშების საერთო რიცხვის 25⁰/₀-ის ფარგლებში.

27. ეს საწარმონი მოეწყობიან სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე და ისარგებლებენ შეღავათებს გადასახადებისა და სოციალური დაზღვევის სფერო-ში სათანადო კანონების თანახმად.

28. მფარველობის ქვეშ მყოფ პირთა ხელფასი განისაზღვრება სატარიფო შეთანხმებით საწარმოს ადმინისტრაციასა და სათანადო პროფესიონალურ კავშირს შორის.

29. მფარველობის ქვეშ მყოფ პირთა შრომის პირობები განისაზღვრება შრომის სახალხო კომისარიატის სპეციალური წესებით.

30. ამა დებულებაში აღნიშნულ საფუძველებზე მფარველობის ქვეშ მყოფი პირი მუშაობს კომიტეტის საწარმოში იმ ვადის განმავლობაში, რაც ის მფარველობის ქვეშ იმყოფება, ხოლო არა უმეტეს ექვსი თვისა.

ექვსი თვის გასვლის შემდეგ მფარველობის ქვეშ მყოფი პირის მუშაობა შეწყდება წინასწარ შეტყობინებლად. განსაკუთრებულ შემთხვევაში კომიტეტს შეუძლიან დასტოვოს იგი სამუშაოზე დამატებითი ვადით არა უმეტეს ექვსი თვისა ამა დებულებით გათვალისწინებულ პირობებზე.

VI. კომიტეტისა და მისი განყოფილებების ლიკვიდაცია.

31. კომიტეტის მოქმედება მოისპობა მხოლოდ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

32. კომიტეტის ქონება გადავა იმ უწყების განკარგულებაში, რომლის გამგებლობაშიაც შრომა-გასწორების დაწესებულებანიცა.

სასამართლო სწორილება და სასამართლოს წარმოება

52. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46, 47 და 48 მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ლიტერა (კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ნაციონალიზებული და მუნიციპალიზებული სახლის სამოურაოს ანგარიშს ბინის ქირისას, რაც ვადაგადაცილებულია ხუთმეტ დღეზე მეტი ხნით და როდესაც განცხადებული არ არის სასამართლო დავა ბინის ქირის რაოდენობის შესახებ ათი დღის ვადაზე ანგარიშის წარდგენის დღიდან“.

2. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის დამატოს მე-3 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„3. ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლში საცხოვრებელი სადგომის ისეთი დამქირავებელის გამოსახლებლად, რომელიც არააშრომითი შემოსავლით ცხოვრობს და რომელმაც ბინის ქირის გადახდა გადააცილა ხუთმეტ დღეზე მეტი ხნით, თანაც როდესაც განცხადებული არ არის დავა ბინის ქირის რაოდენობის შესახებ ათი დღის ვადაზე ანგარიშის წარდგენის დღიდან — ამ დამქირავებლისათვის გამოცხადებულ ბინის ქირის ანგარიშზე, გაფრთხილებით, რომ გამოსახლებულ იქნება, უკეთუ ვადა გადააცილა“.

3. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 47 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა. უკეთუ განმცხადებელი მოითხოვს აღსრულების წარწერის გაკეთებას იმისთვის, რომ 46 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ლიტერის წესით მოვალეს გადახდეს ვადაგადაცილებული საბინაო ქირა, ან ამა დებულების 46 მუხლის მე-3 პუნქტის წესით იგი გამოსახლებულ იქნეს, განმცხადებელმა უნდა წარადგინოს ბინის ქირის ანგარიში დამქირავებლის ხელწერილით, რომ მას გამოუცხადა ანგარიში, ან მილიციის წარწერით, რომ დამქირავებელმა უარი სთქვა ხელწერილის მიცემაზე“.

4. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 48 მუხლის შენიშვნა (კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 266) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა. ამ მუხლის წესები არა ეროცელდება იმ შემთხვევებზე, რაც გათვალისწინებულია ამა დებულების 46 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ლიტერით და მე-3 პუნქტით; ხოლო აღსრულების წარწერის გაკეთება ასეთ შემთხვევებში შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მდგმურს ეცნობება სახლის სამოურაოს განცხადება, და უკეთუ მდგმური ორი დღის

განმავლობაში შეტყობინების დღიდან არ წარადგენს ცნობას—დადგენილ ვადაზე (46 მუხ. 1-ლი პუნ. „დ“ ლიტ. და 3 პუნქტი) სასამართლოში ბინის ქირის რაოდენობის წინააღმდეგ დავის აღძვრის შესახებ*.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ს. თოდრაია.

1931 წ. იანვრის 18.

ტფილისი—სასაბლგ.

53. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი. მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27 მუხლი (კან. კრ. 1928 წ. მე-11 №-ი, მუხ. 106) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„27. სამხედრო ტრიბუნალს ექვემდებარება:

ა) სამხედრო დანაშაულთა საქმეები;

ბ) ისეთი დანაშაულის საქმე, რასაც ჩაიდენს სამხედრო მსახური და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში მყოფი სათადარიგოდ ჩარიცხული პირი, აგრეთვე ომიანობის დროს ზურგისა და ფრონტის მომსახურეობისათვის მოწყობილ განსაკუთრებულ გუნდში მყოფი მოქალაქე, და რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 58²—58³, 58⁴—58¹⁰, 58¹⁴, 58¹⁷, 58²¹, 58²⁴, და 58²⁶ მუხლებით, აგრეთვე იმავე კოდექსის 58¹¹, 58¹² და 58²³ მუხლებით, უკეთეს საქმე ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებრივ დანაშაულთ ემბა;

გ) „ბ“ პუნქტში აღნიშნულ პირთა მიერ ჩადენილი თანამდებობრივი და ქონებრივი დანაშაულის საქმე, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 119—126 მუხლებით და 177 მუხლის „ვ“ და „ზ“ პუნქტებით;

დ) ისეთი დანაშაულის საქმე, ვინც უნდა ჩაიდინოს იგი, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 58¹ ა მუხლით,—აგრეთვე იმავე კოდექსის 177, 180 და 181 მუხლებით, უკეთეს გატაცებულია სამხედრო ნაწილისა და გამხედროებული დაცვის ერთეულის სამყოფელ ადგილიდან სასროლო იარაღი, მისი ნაწილები და სასროლო მასალა, რასაც მცველი არ ედგა ან რასაც განსაკუთრებული მეთვალყურეობა არა ჰქონდა;

ე) ისეთი დანაშაულის საქმე, ვინც უნდა ჩაიდინოს იგი, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 181¹ მუხლით, უკეთეს დამნაშავემ იცოდა, რომ სასროლო იარაღი, მისი ნაწილები და სასროლო მასალა გატაცებულია მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და გამხედროებული დაცვის ერთეულის საწყობიდან და საცავიდან, აგრეთვე სამხედრო ნაწილისა და გამხედროებული დაცვის ერთეულის სამყოფელი ადგილიდან;

ვ) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არ მყოფი მოქალაქის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმე, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 58¹ მუხლის პირველი ნაწილით;

ზ) სხვა ისეთი დანაშაულის საქმე, რაც საფრთხეს წარმოადგენს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სიმტკიცისა და ძლიერებისათვის, უკეთეს მისი განხილვა დაევა სახმედრო ტრიბუნალს სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამართლის წარმოების საფუძველთა 21 მუხლის 1-ლი შენიშვნის წესისამებრ;

თ) ყველა დანაშაულის საქმე, ვინც უნდა ჩაიდინოს იგი, ისეთ ადგილას, სადაც რაიმე განსაკუთრებული მიზეზით საერთო სასამართლოები არ მოქმედობენ“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე შ. ცხაკაია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ნ. თოდრაია.

1931 წ. იანვრის 18.

ტფილისი—სასაბლგ.

შეცდომის გასწორება

1930 წ. „კანონთა კრებულის“ 24 №-ში, 356 მუხლში, 655 გვერდზე, მე-7 სტრიქონში ზევიდან:

დაბეჭდილია:

ახალქალაქისა

უნდა იყოს:

ახალციხისა

გ ა ნ რ ი გ ე ზ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1931 წელს

№-ის რიგზე	დაწესებულ ეგზანი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომი- ტეტებს	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქა- ლაქო საბჭოებს	2
3	სასოფლო საბჭოებს	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს . .	4
5	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს . . .	12
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს .	5
7	სახალხო სასამართლოებს	1
8	საქართველოს სსრ პროკურატურას	8
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის პროკურატურებს	3
10	სარაიონო პროკურორებს	1
11	სახალხო გამომძიებლებს	1

გ ა ნ წ ხ ა დ ე გ ა

„საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“, როგორც საერთო წესი, ამიერკავკასიის ფარგლებში იგზავნება საბარათო (უმისამართო) სისტემით: „კანონთა კრებულის“ ნომრები ტფილისის საოლქო ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მეშვეობით ეგზავნებათ ადგილობრივ საფოსტო დაწესებულებათ, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საექსპედიციო ბარათები; ამ ბარათების მიხედვით „კანონთა კრებული“, ურიგდებათ ხელისმომწერლებს.

ყოველი შემთხვევა, როდესაც „კანონთა კრებული“ სწორედ არ იქნება მიწვდილი, უნდა ეცნობოს ჯერ ადგილობრივ საფოსტო დაწესებულებას, ხოლო, თუ განცხადება არ იქნება დაკმაყოფილებული, — „კანონთა კრებულის“ გამომცემლობას, მისამართით: ტფილისი — სასახლე.

საქართველოს ს.ს.რ. საგვ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

(პირველი ნაწილის)

ხელის მოწერის უბანი 1931 წლისათვის

== 8 მანეთი ==